ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 400

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. № 37 (ს/კ №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. № 4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. № 55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისში, საირმეს ქუჩა N37-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.14.024.036), ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.024.004), ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 სექტემბრის N25.1582.1781 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ (ს/ნ. №405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004) და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით:

ა) მიეცეთ კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №5-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირებს:

ა.ა) როინი ფუტკარაძეს (პ/ნ.61001033650) – 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით;
ა.ბ) ნათელა კერესელიძეს (პ/ნ. 01018001411) - 60 000 (სამოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე